პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აპრილი პარასკევი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 100 (15313)

საბჭოთა მეცნიერებო, კონსტრუქტორებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო, გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან! უფრო სწრაფად დანერგეთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

იმ მუშაობის შესახებ, რომელიც დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანასა და კემეროვოს ოლქის სხვა საწარმოებში ხორციელდება მოქმედი და საექსპლოატაციოდ ახლად გადასაცემ წარმოებათა და აგრეგატთა საპროექტო სიმძლავრეების უსწრაფესად ათვისებისათვის

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმ მუშაობის შესახებ, რომელიც დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანასა და კემეროვოს ოლქის სხვა საწარმოებში ხორციელდება მოქმედი და საექსპლოატაციოდ ახლად გადასაცემ წარმოებათა და აგრეგატთა საპროექტო სიმძლავრეების უსწრაფესად ათვისებისათვის.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კემეროვოს ოლქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები, ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „სსრ კავშირის შავი მეტალურგიის საწარმოებში მოქმედი და საექსპლოატაციოდ ახლად გადასაცემ აგრეგატთა საპროექტო სიმძლავრეების უსწრაფესად ათვისებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ინიციატივის შესახებ“, დიდ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან, რათა დარაზმონ მშრომელთა კოლექტივები ძირითადი ფონდების გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ოლქის საწარმოებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება, შემცირდა მათი ათვისების ვადები, იმ საამქროებისა და აგრეგატების რაოდენობა, რომლებშიც მიღწეული არ არის საპროექტო მაჩვენებლები. ვადამდე ათვისეს და გადაამეტეს ბრძოლადების, ჟანგბადის კონვერტორების, საკოქსე ბატარეების, საავტომობილო მანქანებისა და სხვა აგრეგატების საპროექტო სიმძლავრეებს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში, რის მეოხებითაც თუჯის წარმოება გადიდდა 700 ათასი ტონით და მეტად, ფოლადისა — 400 ათასი ტონით და კოქსისა — თითქმის 200 ათასი ტონით. მთლიანად ქარხანაში 1971 წელს მოგება 1968 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. საწარმოო ფონდების გამოყენებაში კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული ქვანახშირის, ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებ საწარმოებშიც.

ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ოლქის საწარმოთა კოლექტივებმა გაშალეს ფართო სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კუზბასის მშრომელთა ვალდებულებებში გათვალისწინებულია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1975 წლის 5 ნოემბრისათვის, სამრეწველო პროდუქციის მთელი მატება უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა დადებითი მუშაობა, რომელიც კემეროვოს ოლქის საწარმოებში ხორციელდება ძირითადი ფონდების გამოყენებასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, როგორც ოლქის მშრომელთა მასწრაფება, რომ ღირსეული წვლილი შეეტანონ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

პარტიულ ორგანიზაციებს რჩევა მიეცათ კვლავაც განახორციელონ მშრომელთა კოლექტივებში ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, დარაზმონ ისინი ძირითადი ფონდების ყოველნაირად გამოყენებისათვის, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ანვარ სადათი მოსკოვში ჩამოვიდა

27 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე ანვარ სადათი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, პრეზიდენტ ანვარ სადათსა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ საბჭოთა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

დამსწრეთა შორის იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ია.ია აბდელ კადერი.

საფრენ მინდორზე ჩამწკრივდა სსრ კავშირის სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. შესრულდა ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები, (საკდესი).

სურათზე: თბილისი, 1972 წელი, 27 აპრილი. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VII ყრილობის დარბაზში.

ბ. ბოგოზიას ფოტო.

საქართველოს სსრ საზოგადოება «ცოდნის» VII ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მეშვიდე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საზოგადოების რიგებში გაერთიანებული საბჭოთა ინტელიგენციის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავე წარმომადგენლებს.

საზოგადოების ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებულად იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება სსრკ შექმნის 50 წლის სახელოვანი იუბილესთვის.

რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ინიციატივით შექმნილი საზოგადოება „ცოდნა“ თავისი არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე გადაიქცა საბჭოთა ინტელიგენციის მასობრივ, ნებაყოფლობით ორგანიზაციად, რომელიც დიდ როლს ასრულებს შრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საზოგადოება „ცოდნა“ რესპუბლიკის შრომელთა შორის აქტიურად ეწევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილების ფართო პროპაგანდას, ხელს უწყობს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საზოგადოება „ცოდნის“ წევრებმა კვლავაც ხელი უნდა შეუწყონ მასების შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს ყრილობას წარმატებით მუშაობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, მისი ადგილობრივი ორგანიზაციები და ყველა წევრი მთელ ძალღონეს მოახმარენ მშრომელთა პოლიტიკური, მეცნიერული ცოდნისა და კულტურული დონის ამაღლებას, ახალი ადამიანის აღზრდას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მაღალი მოწოდება — გავავრცელოთ ცოდნა მასებში

ცოდნა ხალხს VII

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VII ყრილობა

27 აპრილს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მეორე საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VII ყრილობა.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ნ. ჭახრაკიამ.**

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მეკვანაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე.** სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ფიშევსკი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გოგიჩაიშვილი** წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ VII ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება ორ ყრილობას შუა პერიოდში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მუშაობის შესახებ გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა **გ. ძოწენიძემ.**

ამხ. გ. ძოწენიძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკური ყრილობა მიმდინარეობს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ 25 წლისთავის დღეებში — და დაახასიათა იდეოლოგიური თრონტის ამჟამიერ მიბრძოლთა, ჩვენს რესპუბლიკაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელთა დიდი გზა, ნაყოფიერი და მრავალმხრივი საქმიანობა. განვლილ 25 წელიწადში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ორგანიზაცია გახდა, რომელიც თავრთო და მრავალმხრივ პროპაგანდას ეწევა მშრომელთა შორის. თუ 1949 წლის იანვარში საზოგადოების რიგებში მხოლოდ 1100 წევრი იყო, რომლებმაც 1948 წელს 1900 ლექცია წაიკითხეს, ახლა საზოგადოება 33194 წევრს ითვლის. ისინი ყოველწლიურად კითხულობენ 250 ათასზე მეტ ლექციას ანუ ყოველდღიურად საშუალოდ 760 ლექციას. რომლებსაც 35 ათასი კაცი ესწრება.

საზოგადოების წევრთა შორის არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და დარგობრივი აკადემიების 61 წევრი, აკადემიის 49 წევრ-კორესპონდენტი, 765 დოქტორი და პროფესორი, 3504 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საელექციო პროპაგანდის მდგომარეობას. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ორგანიზაციებმა მოაწყეს 532 733 ლექცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში.

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან საზოგადოების წევრები ხალხთა ლენინური მეგობრობის პროპაგანდისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის. მარტო 1971 წელს ამ საკითხებს მიეძღვნა ორი ათასამდე ლექცია და სხვა ღონისძიება. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა ახალი შინაარსით, ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრდა „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ.

ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, კერძოდ, პროპაგანდა სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, კონკრეტულ ამოცანების გადაჭრასთან, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით, ინტერნაციონალურ აღზრდას. ნაკლოვანებათა კრიტიკა, რომელსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, აღნიშნა გ. ძოწენიძემ, ბუნებრივად ეხება საზოგადოების ორგანიზაციასაც.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდაზე, სალექციო პროპაგანდის სხვა ფორმებზე, სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობაზე, ანალიზი გაუკეთა საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საორგანიზაციო მუშაობას. შეეხო ბეჭდვით პროპაგანდას, ლექტორებთან მუშაობას.

დასასრულ გ. ძოწენიძემ რესპუბლიკის მრავალფეროვანი ინტელიგენციის, საზოგადოება „ცოდნის“ წევრების სახელითაღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი კვლავაც არ დაიშურებენ ძალღონეს, იქნებიან ბატარეის ერთგული, თანაშემწენი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, „გაფაფართოებენ და გაძლიერებენ სალექციო პროპაგანდას, რომელსაც საფუძვლად უდევს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყრილობამ მოისმინა და მოიწონა სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ა. აფაქიძემ.**

მოისმინეს და მოიწონეს აგრეთვე სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სწავლულმა მდივანმა **შ. ნოზაძემ.**

კამათში გამოვიდნენ: საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი **გ. ძიძარია,** საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, დოცენტი **დ. დიასამიძე,** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. მამასახლისოვი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ახვლედიანი,** საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი **ს. გაბარაევი,** საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი **კ. მეძველია,** სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ფიშევსკი,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ჯიბლაძე,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ა. აფაქიძემ.**

მოისმინეს და მოიწონეს აგრეთვე სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სწავლულმა მდივანმა **შ. ნოზაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გოგიჩაიშვილი.** (საქინფორმი).

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი

27 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი.

გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი **გ. ძოწენიძე.**

თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია **ნ. ჭახრაკია,** თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან **ი. თოდუა, ა. ულენტი, ე. სეხნაშვილი.**

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სწავლულ მდივნად არჩეულია **შ. ნოზაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გოგიჩაიშვილი.** (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ქალაქ თბილისის ჯროფკავშირული აქტივის კრება

მსახიობების სახლის თეატრალურ დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს პროფსაბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელები, სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, დიდი სოფლმეურნეობა-საქარხნო და სამშენებლო კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფკავშირული აქტივი.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

მოხსენება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ქალაქ თბილისის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ბარამიძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. დანელიამ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გიუელიძემ, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. მილაშრმა, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბაბლაძემ, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ, თბილისის რძის კომბინატის დირექტორმა ვ. მაღლაკელიძემ, „თბილმრეწმშენის“ ტრესტის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ბაბაბაძემ, რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის თბილისის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნეშარიძემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის საამქრო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ბ. ბარამიძემ, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის საამქროს პროფორგმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დეპუტატმა ე. ჩხეიძემ აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, და თბილისის მშრომელებმა გულმხურვალედ მიიღეს იგი.

თბილისის 400 ათასზე მეტი მშრომელი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და პირნათლად ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მშრომელთა კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მრეწველობის ნოვატორების — მრთველის მ. არათანამშვილის, მძღოლის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ედნაძის ინიციატივას ხუთი დღის დაგალების ოთხ დღეში შესრულების შესახებ, ამწყობი ზეინკლის ვ. გოლოვინის, ზეინკალ გ. ყურუნის, ამწყობი ზეინკლის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ასათიანისა და სხვების ინიციატივას, რომლებმაც შეიმუშავეს და წარმატებით ასორციელებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის პირად შემოქმედებითს გეგმებს.

სოციალისტური შეჯიბრების თვისებრივ ზრდას თვალსაჩინოდ მოწმობს კომუნისტური შრომის მოძრაობის განვითარება.

კრებაზე წარმატებებთან ერთად გამოავლინეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში არსებული არსებითი ნაკლოვანებანი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

ქალაქ თბილისის პროფკავშირული აქტივის კრების მონაწილეებმა განხილულ საკითხზე მიიღეს რეზოლუცია.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მესხაშვილი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

(საქინფორმი).

სიმღერა რუსთაველზე

26 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ეს კონცერტი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ქართული პოეზიის მწვერვალის შოთა რუსთაველის დიდებულ ჰიმნად იქცა. ეს იყო ქართული საბჭოთა ხელოვნების დღესასწაული, რომელმაც ითვისა წარსულის საუკეთესო მემკვიდრეობა და განაგრძობს მის შესანიშნავ ტრადიციებს. გენიალური პოეტის სახემ ჩვენი ხელოვნების ყველა დარგში ჰპოვა გამოხატულება. იგი იქცა ქართველი საბჭოთა პოეტების, მწერლების, კომპოზიტორებისა და მხატვრების შემოქმედების შთაგონების წყაროდ. ამ ბოლო წლებში შექმნილი ყოველივე საუკეთესო, რაც რუსთაველისადმი მიძღვნილი ლიტერატურაში, მუსიკასა და ქორეოგრაფიაში, ამ კონცერტზე იყო წარმოდგენილი.

პირველი განყოფილება დაეთმო „ვეფხისტყაოსნის“ ‘ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას. ნაწყვეტები პოემიდან — „პროლოგი“ „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა“, „ანდერძი და ლოცვა ავთანდილისა“, „სამთა თათბირი“, „ქაჯეთის ციხის აღება“ წაიკითხეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ტ. საყვარელიძემ, ე. მაღალაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა გ. სალარაძემ, ბ. კობაბიძემ, მსახიობებმა ე. ჭავჭავაძემ, გ. ხარაბაძემ. მუსიკალური კომპოზიცია ნ. სულეხანიშვილის, ა. ჩიმაკაძის, მ. ბატელიშვილის ნაწარმოებების მიხედვით—„პროლოგი“, „ქორალი“, „ვედრება“, „ხორუმი“, „ომი“, „ძღვევა“ და „ფინალი“ შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ზ. ხუროძის ხელმძღვანელობით. სახელმწიფო კაპელამ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის მიერ დადგმულ ქორეოგრაფიულ სცენებში „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე მონაწილეობდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი და ანსამბლის სოლისტები რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. დოლაბერიძე, ფ. სულაბერიძე, ნ. მკირვალიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. იაშვილი და მსახიობი ნ. კვაჭანტირაძე. მეორე განყოფილებაში სიმფონიურმა ორკესტრმა, კაპელამ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თ. შუკუდიანმა შეასრულეს ოთხი ნაწილი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ორატორიიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“. დირიჟორობდა ავტორი.

„ეკრანზე მოჩანს კადრები ფილმიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“. მაყურებელს ეკვალწინ წარმოუდგა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დიდებული კედლები, მისი გაუხუნარი ფრესკები, შოთა რუსთაველის პორტრეტი. შემდეგ ფილმს მაყურებელი საქართველოში გადაჰყავს. ეკრანზეა თამარ მეფის გამოსახულება, ქართული ოქროჭედლობის განუმეორებელი ნიმუშები. ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლიდან „პალესტინა, პალესტინა!“ კითხულობენ ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ზ. კვერენჩხილაძე, ბ. კობახიძე, მსახიობები მ. თავაძე, ზ. ბაწელაშვილი.

სალამოს დასასრულს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, კაპელამ და საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვოკალურმა ანსამბლმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს ო. თაქთაქიშვილის ორატორია „შოთას“. ტექსტს კი თხზულობდა ტ. საყვარელიძე.

კონცერტის რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ლითანიშვილი.

კონცერტს, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ მ. გოგიჩაიშვილი, ა. ინანური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მეკვანაძე, ა. ჩურკინი, გ. ჯაბახიშვილი, რ. მეტრეველი. (საქინფორმი).

28 აპრილს საბჭოთა აზერბაიჯანის 52 წლისთავია

ძეურ ოჯახში

საბჭოთა აზერბაიჯანს 52 წელი შეუსრულდა. რესპუბლიკის იუბილეს ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხების ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის დიადი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მოლოდინში, იმ დღის წინ, როცა ჩვენს პლანეტაზე აფრიალდება საპირველმაისო ალისფერი დროშები.

თავიანთი დიდი დღესასწაულის დღეს აზერბაიჯანის მშრომელნი კვლავ და კვლავ დებენ ფიცს, რომ კომუნისტური პარტიისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძის. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დროშის ერთგული იქნებიან.

ამ ლენინური დროშით მოიპოვა ყველა თავისი წარმატება აზერბაიჯანელმა ხალხმა. რომელსაც თავის უფიდეს ბედნიერებად მიაჩნია, რომ განუყრელი შემადგენელი ნაწილია ადამიანთა ახალი ისტორიული ერთიანობისა, რომელსაც ეწოდა საამაყო სახელი: საბჭოთა ხალხი.

სსრ კავშირში ეროვნული მშენებლობის გამოცდილებისათვის, რომელსაც დიდი ხანია მიენიჭა ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა, აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ აზერბაიჯანის, გამოცდილება განსაკუთრებით საგულისხმოა.

თავის ისტორიულ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ ვ. ი. ლენინმა მათ დაუსახა ამოცანა შეექმნათ „ბურჟუაზიის დროს არნახული პარტიული კომუნისტური ერთიანობა“ ... „ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“. თავისუფალი და თანასწორი რესპუბლიკების მძლავრი კავშირის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ ამიერკავკასიის მშრომელებს, ისევე როგორც საბჭოთა ხალხების მთელ ძმურ ოჯახს, მათ მიერ შეძენილი ისტორიული გამოცდილების მწვერვალიდან სრული უფლება აქვთ უპატაკონ, რომ ბედადის განაწესი ღირსეულად შესრულებულია.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მრავალმხრივი თანამშრომლობა, მათი შრომითი ღონისძიებების ფართო კოოპერაცია, რესპუბლიკებისა, რომელთა ეკონომიკა ერთიან ურთიერთდაკავშირებულ სახალხო სამეურნეო კომპლექსს შეადგენს, იმის საამედო საწინდარია, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებები წარმატებით განხორციელდება.

ჩვენ ვამაყობთ მაღალი შეფასებით, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მისცა თავის სიტყვაში საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე ბაქოში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. „საბჭოთა აზერბაიჯანი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, — რომელიც რუსეთის იმპერიის ყოფილი კოლონიური განაპირა მხარიდან გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ აყვავებულ კომუნისტმშენებელ რესპუბლიკად, — ეს არის სოციალიზმის მძლავრი შემოქმედებითი ძალის დამაჯერებელი დადასტურება, შთამაგონებელი მაგალითი ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოებისათვის, ხალხებისათვის, რომლებიც სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან“.

შთამაგონებელი საქმეებით არის აღნიშნული ბა, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ განვლო საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა აზერბაიჯანში 70-ჯერ გადიდდა. ორ კვირაზე ნაკლებ დროში ჩვენი ინდუსტრია იმდენსავე სამრეწველო პროდუქციას უშვებს, რამდენსაც რევოლუციამდელი აზერბაიჯანი მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა.

საბჭოთა აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობა მძლავრი და რთული ეკონომიური ორგანიზაციაა, რომელიც სამრეწველო წარმოების ოცზე მეტ დარგს შეიცავს. მსხვილი ნავთობის მომპოვებელი და ნავთობგადამმუშავებელი, დინამიურად მზარდი ქიმიური, სამთამადნო, მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა განვითარებულ მსუბუქ და კვების ინდუსტრიასთან შეხამებით, რომელზეც მეცხრე ხუთწლიდში მოდის კაპიტალდაბანდებათა და წარმოების ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი, განაპირობებენ რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების მაღალ დონეს.

აზერბაიჯანის ნავთობის სიმდიდრეთა დამუშავების ას წელზე მეტი ხნის ისტორიაში ახალი ფურცელი დაიწყო საზღვაო საბადოების ათვისებით, რომელთა წილად ახლა მოდის მთელი იმ თხევადი საბობის ორი მესამედი, რომელსაც რესპუბლიკაში იღებენ.

ჩუმლაყელ მესიმინდეებთან

მექანიზატორ ქრჩევნიშვილის ქრჩევანი

გურჯაანი. (საკ. კორ.). სიმინდის უზვი მოსავლის მოყვანის კარგი ტრადიცია აქვთ სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მექანიზატორებს. მათ არაერთხელ ისახელეს თავი სიმინდის ნათესების მაღალ დონეზე დამუშავებით და უზვი მოსავლის მიღებით. მექანიზატორთა შორის მოწინავის სახელი დაიმკვიდრა ზაქარია ირჩევნიშვილმა. იგი დიდი სამამულო ომის წლებში ჯერ კიდევ ჭაბუკი მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, და 30 წელიწადი ისე მიიღია, რომ არასოდეს უღალატნია რკინის მეგობრისათვის.

ზ. ირჩევნიშვილმა მრავალჯერ გამოიჩინა თავი როგორც დაუზარელმა და ბეჯითმა მექანიზატორმა. ხვნა-თესვის დროს ტრაქტორს მართავდა, ალაოობის დროს კომბაინის საჭეს მიუჯდებოდა ხოლმე, ხოლო როცა ვენახის ჯერი დგებოდა, ვაზის რიგთაშორისებში გუგუნებდა მისი ტრაქტორი.

მაგრამ ზაქარიამ ყველაზე მეტად მაინც სიმინდის თესვა-მოყვანით გაითქვა სახელი. მან მარცვალი უკუღმა რომ გადაგდოს, მოსავალი წელმა მოვაო, სოფელში ხშირად გაიგონებთ ზ. ირჩევნიშვილის შესახებ. უკუღმა არა და თესლის გონივრულად ჩათესვა რომ იცის ზაქარიამ, ეს კი ცხადია. ბევრჯერ მიუჩინეს მოსავლელად ნათესები და მექანიზებულ სამუშაოთა როგორც კი გაისმა მოწოდება მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ, ზ. არჩევნიშვილმა თავის ბრიგადაში ჩამოაყალიბა მექანიზებული რგოლი, რომელშიც ტრაქტორისტები ერთნოდარ ნაცვლიშვილი და გიგო ქართელიშვილი გაერთიანა. რგოლმა, რომელსაც თვითონ ზ. არჩევნიშვილი ჩაუდგა სათავეში, აწონ-დაწონა ადგილი ერთ ოთხკუთხედ ... ...

საერთაშორისო დღის

ბაღდადი ## ხელშეკრულება რატიფიცირებულია

27 აპრილი. (საკდესი). ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭომ მიიღო კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ეს ხელშეკრულება დაიდო მიმდინარე წლის აპრილში, როცა ერაყში ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

როგორც აღნიშნულია კანონის პრეამბულაში, საბჭოთა კავშირ-ერაყის ხელშეკრულების მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ძალების სოლიდარობის მიღწევა, ბრძოლის გაძლიერება იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

საპატიო წოდება

ბერლინი, 27 აპრილი. (საკდესი). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი რ. რ. დვალი არჩეულია დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ვარშავა

მეგობრული შეხვედრები

27 აპრილი. (საკდესი). დიდი პოლონელი ასტრონომის ნიკოლოზ კოპერნიკის მშობლიური ქალაქის ტორუნის რამდენიმე ასეული ქალიშვილი და ვაჟიკაცი გულთბილად შეხვდა აქ ჩამოსულ სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს **ა. ს. ელისეევს,** რომელიც მოგზაურობს სახალხო პოლონეთში.

როგორც ტორუნის უნივერსიტეტის საპატიო სტუმარმა, მან მონაწილეობა მიიღო ასტრონომიული საზოგადოების საზეიმო სხდომაში. სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა დიდი ასტრონომის ძეგლი შეამკო გვირგვინით, რომელზეც წარწერილია „ნიკოლოზ კოპერნიკს — საბჭოთა კოსმონავტებისაგან“.

რომი

წინასაარჩევნო კამპანია

27 აპრილი. (საკდესი). იტალიაში გრძელდება წინასაარჩევნო კამპანია პარლამენტის ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნულია მიმდინარე წლის 7-8 მაისისათვის.

სამრეწველო საწარმოების 150 ათასზე მეტი მუშა, ნავსადგურის მუშაკი, ახალ-მახალ სოფლების გლეხები, ახალგაზრდები მივიდნენ ნეაპოლის-ერთ-ერთ მთავარ მოედანზე იტალიის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ფედერაციის მიერ მოწყობილ მიტინგზე, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა.

ე. ბერლინგუერმა მოუწოდა მშრომელებს გამოიჩინონ სიფხიზლე ნეოფაშისტებისა და რეაქციის გამოხდომების მიმართ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალიის კომპარტია მტკიცედ იცავს ხალხის თავისუფლებასა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

„პირველი მაისი სიძვირის წინააღმდეგ“ — ასეთი ლოზუნგებით მომდინარეობს მშრომელთა საგაზაფხულო მანიფესტაციები იაპონიის დედაქალაქსა და ქვეყნის 150 სხვა სამრეწველო ცენტრში. ეს სურათი გადაღებულია ერთ-ერთ დემონსტრაციის დროს ტოკიოში. პირველ რიგში მოდიან (მარცხნიდან მარჯვნივ) საგაზაფხულო ბრძოლების ერთობლივი ჩატარების კომიტეტის თავმჯდომარე მ. იტიკავა, სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ნარიტა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ს. კასუგა.

ХАЯАС ПРЕСС-САКДЕСИС ФОТО.

სსრ კავშირის წარმომადგენელი

